№ 230

ოთხშაბათი, 27 ოქტომბერი, 1899 წ.

1877—1899

# ივერია

№ 230

ოთხშაბათი, 27 ოქტომბერი, 1899 წ.

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის" ტელეფონი № 227

რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად** და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

**ფასი განცხადებისა:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227

23-ს ოქტომბერს გარდაიცვალა მე-77 ტენგინის რაზმის პოდპოლკოვნიკი

## ბესარიონ დავითის ძე გაბაშვილი,

რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ მეუღლე განსვენებულისა **ელენე ალექსანდრეს ასული გაბაშვილისა, დანი მისნი სოფიო დავითის ასული ტრიშატნისა, ანნა დავითის ასული გაბაშვილი და დისწულნი ალექსანდრე და კონსტანტინე დავითის ძე ჩხეიძენი.**

პანაშვიდი ყოველ დღეა დილის 12 საათზედ და საღამოს 7 საათზედ. მიცვალებულის გვამს გამოასვენებენ ოთხშაბათს, 27 ოქტომბერს, დილის 10 საათზედ. „კავკასის" სასტუმროდან წმ. იოანნე ღვთის მეტყველის ეკკლესიაში, სადაც დაკრძალულ იქმნება. (2—168—2)

## ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 28 ოქტომბერს,

ქართულის დრამატიულის საზოგადოების არტისტებისაგან, **ქ-ნ ნ. რენევლისა** და **ბ-ნ ქ. ყიფიანის მონაწილეობით** და **ქ-ნ კავთელის** სადებიუტოდ წარმოდგენილი იქნება

პირველად განახლების შემდეგ

## ლ ა ნ დ ი

დრამატიული ზღაპარი 5 მოქ. და 6 სურ, გერმანულიდამ ნათ. ბ-ნ ლაზარაშვილისაგან.

მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

დასაწყისი 8 საათზე

რეჟისორნი **ვ. აბაშიძე** და **ქ. მესხი**

## ქ. ქუთაისში

## კ ბ ი ლ ი ს ე ქ ი მ ი

## სალომე ი. კერესელიძე

მიიღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9 საათიდგან საღამოს 6-მდე. მიხეილის ქუჩა, შნეიდერის სახლები. (30—147—14)

## ქართველ ქალთა სამკერვალო

1 ოქტომბრიდგან გაიხსნა და მიიღებს კაბებს შესაკერად.

იქვე მიიღებენ შეგირდებს: ღარიბებს მუქთად, ხოლო დანარჩენთ თითო მანეთი უნდა გადაიხადონ.

მსურველთ შეუძლიანთ ჩაეწერნენ ჭრა კერვის კურსებზედ.

**საჭიროა გამოცდილი ტანისამოსის მკერავი ქალი სამკერვალოსათვის.**

ადრესი: ბარონის ქუჩა, № 12.

## ექიმი

## კ. ს. გძელიშვილი

მ ი ი ღ ე ბ ს

**ყელისა, ცხვირისა და ყურით** ავადმყოფებს.

დილ. 9—11 ს., საღამოზე 5—7 ს.

მიხეილის ქუჩა, ნემეცების ეკკლესიის პირდაპირ. Михайловская, противъ кирки. (100—31—62)

**კავკასიის საბაღოსნო საზოგადოება** აცხადებს, რომ ტფილისის საბაღოსნო სკოლაში 1899 წლის შემოდგომაზედ და 1900 წლის გა-

ზაფხულზედ დაკლებულ ფასით გაიყიდება 4,000 ათასამდე ძირი საუკეთესო ჯიშის ხეხილი, ორისა და წელიწად ნახევრის დარგული და 50,000 ათასზედ მეტი ძირი დეკორატიული ხე, 1—5 წლის დარგული. (24—6.—16)

## ტფილისის კერძო სამკურნალო

მკურნალის

მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებენ ყოველდღე კვირა დღეების გარდა

**დ ი ლ ი თ:**

**ვ. ი. ჭიჭინაძე.**—კბილის სნეულებანი. 8—10 საათ.

**გ. გ. მაღალაშვილი**—შინაგანი —9—10 საათ.

**დ. ქ. ერისთავი**—სადოსტაქრო (საქირურგიო). 10—12 საათ.

**ნ. ტ. მულინი**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—$10^1/_2$—12 საათ. (ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობსით).

**ა. ნ. შატილოვი**—თვალისა 12 —1 საათ.

**იაგ. ქ. ადამიანი**—შინაგანი (სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით)—12—1 საათ.

**ნ. ზ. უმიკოვი.**—ბავშვებისა (ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით)—12—1 საათ.

**ი. დ. ბეგთაბეგოვი**—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—1—2 საათ.

**მ. ა. გედევანიშვილი**—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—1—2 საათ.

**ქ. ი. გძელიშვილი**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—2—3 საათ. (სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით).

**საღამოთი:**

**დ. ა. გედევანიშვილი**—შინაგანი და ბავშვებისა—5—6 საათ.

**ი. ნ. თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

**ს. ი. ვაჩაძე.**—შინაგანი და მასაჟი—6—7 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები და კაბინეტი ბაქტერიოლოგიურ და მიკროსკოპიულ გამოკვლევათათვის.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., დანარჩენი—მორიგებით.

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

დირექტორი სამკურნალოსი **მ. ა. გედევანიშვილი**

## პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**გ. ა. ნავასარდიანი**, 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**ყ. მ. ჩიქოვანი.** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაგანასიანცი**—დილის 11—12 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს.

**ი. ფ. პროტასევიჩი.** 12—1 ს. ყურისა, ყელისა, ცხვირისა და გულის ავადმყოფობისა.

**ა. პ. ქარაპეტიანცი** 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**ა. ბ. ბურკო.** $1^1/_2$—2 ს. შინაგანი და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

**ი. ფ. პროტასევიჩი.** 5—6 საათ.

**ა. ნ. შპაკოვსკი.** 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა) ვენერიულისა და კანის ავადმყოფობისა.

**გ. ა. ნავასარდიანი.** 7—$7^1/_2$ საათ.

**ტ. ი. რუდენკო**—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად, მიკროსკოპიულად და ბაქტერიოლოგიურად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს ⁊ სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

**ო. ტ. არვანიტაკი**—გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს", აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმების დანიშვნით. მიმპართონ 11—1 საათამდე.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардiана.*

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. (—1—წ).

## ახალი ამბავი

*** კავკასიის მთავარ-მართებელს შესაძლებლად უცვნია დაარსებულ იქმნას პუშკინის სახელზედ ორი პირველ-დაწყებითი სკოლა, წიგნთსაცავ-სამკითხველო და 4 სტიპენდია ადგილობრივს გიმნაზიებში და სამასწავლებლო ინსტიტუტში, ხოლო ბელინსკის სახელზედ-კი—ერთი პირველ-დაწყებითი სკოლა; ამასთან მთავარ-მართებელს ისიც შესაძლებლად უცვნია, რომ ბელინსკის სახელი ეწოდოს ქალაქის ერთ-ერთ ქუჩას. ახლა ამ საგანზედ საჭიროა საერო განათლების მინისტრის ნებართვა.

*** 25 ოქტომბერს ტფილისის ქალაქის საბჭოს მოახსენა ქალაქის მოურავმა, რომ, რადგან ხმოსანი მ. ს. შახ-პარონიანცი ქალაქს გარედ იმყოფება და მოიწერა, რომ ჩამოსვლა დამაგვიანდებაო, გთხოვთ მის მაგიერი კაცი აირჩიოთ საბჭოს თავმჯდომარედ 1894, 1895, 1896 და 1897 წლების ქალაქის გამგეობის ანგარიშების განსახილველადო. დაასახელეს ხმ. ნ. ნ. ოსტროგორსკი, მაგრამ რადგან მან უარი განაცხადა, ხმის უმეტესობით არჩეულ იქმნა კ. მ. ალიხანოვი.

შემდეგ კრება შეუდგა ქალაქის რკინის გზის იჯარით გაცემის შესახებ მოხსენების განხილვას. მოხსენება წაიკითხა გამგეობის წევრმა თავ. ჩერქეზიშვილმა. გამგეობას ერთი-მეორისათვის შეუდარებია ყველა ფირმის პირობები, ვინც-კი ხსენებული გზის იჯარით აღების სურვილი განაცხადა, და იმ აზრს დასდგომია, რომ ბელგიის უსახელო საზოგადოების პირობები, რომელიც 1898 წლის 9—23 ნოემბერს საბჭოს მიერ მოწონებულს ხელშეკრულობის პროექტშია მოყვანილი, ქალაქისათვის ბევრად უფრო სასარგებლოა დანარჩენ ფირმების პირობებზედო. ამიტომ გამგეობას უმჯობესად უცვნია აღდგენილ იქმნას ხსენებული ხელშეკრულობის პროექტი. ხანგრძლივი კამათის შემდეგ, საბჭომ, 34 ხმით 9-ს წინააღმდეგ შეიწყნარა გამგეობის წინადადება. როცა ეს დადგენილება ძალაში შევა, გამგეობა შეუდგება უსახელო საზოგადოების წარმომადგენელთან პირობის შეკვრას.

*** ოქტომბრის პირველ რიცხვებში ქალაქის საბჭომ დაადგინა დაკლებულ იქმნას გირვანქა ცხვრის ხორცის ნიხრი 8 ნახევარ კაპიკიდგან 7 კაპიკამდეო. ეს დადგენილება საგუბერნიო მთავრობამაც დაამტკიცა, მაგრამ ახალი ნიხრი რაღაც მიზეზის გამო ჯერ კიდევ ძალაში არ შესულა და მცხოვრებლები იძულებულნი არიან ყოველ გირვანქა ცხვრის ხორცზედ 1 ნახევარი კაპეიკი ზედ-მეტი გარდაიხადონ.

*** ნავთის მილების გაყვანა ხაშურის სადგურიდგან ბათუმამდე უკვე დამთავრდა და ნავთის დენა მილებში ნოემბრიდგან დაიწყება.

*** ტფილისის ქალაქის სამხედრო საკრებულოში ახალ ჯარის კაცთა დაფიცება დანიშნულია 29 ოქტომბრისათვის, ხოლო მათი გამოცხადება ტფილისის მაზრის სამხედრო უფროსის სამმართველოში (რკინის გზის სადგურის პირ და პირ) დანიშნულია 1-ლ ნოემბრისათვის, დილის 8 საათზედ.

როგორც ისმის, საკრებულოს ჯერ-ჯერობით მხოლოდ 90-მდე კაცი ჩაურიცხავს ჯარში გასაყვანად, ხოლო კიდევ ჩასარიცხია 100-მდე. ზოგიერთი ყმაწვილები, რომელთაც კენჭი შეხვედრიათ, დამალულან და არ გამოცხადებულან მკურნალთან შესამოწმებლად, რის გამო საკრებულო იძულებული გამხდარა შეავსოს ჯარის კაცთა რიცხვი ისეთ ყმაწვილებით, რომელთაც დიდი ბილეთები შეხვედრიათ და თითქმის შეღავათიც-კი აქვთ. დამალულ ყმაწვილთა ძებნას პოლიცია უკვე შესდგომია.

*** ტფილისის ქალაქის გამგეობამ შესასრულებლად მიიღო ტფილისის ქალაქის საქმეთა საგუბერნიო საკრებულოსაგან დადგენილება ტფილისის 1899 წლის შემოსავალ-გასავლის აღრიცხვის შესახებ, რომლის ძალითაც ეს ხარჯთ-აღრიცხვა ხელ-მეორედ უნდა იქმნას განხილული და შედგენილი ქალაქის საბჭოს მიერ, დეფიციტის მოსასპობად, რომელიც უდრის 106,095 მან.

*** კავკასიის საფილოქსერო კომიტეტმა, საქარის ამერიკულ ვაზთა სანერგის მმართველის ბ-ნის სტაროსელსკის შუამდგომლობის გამო, 561 მან. გადასდო სანერგესთან არსებულ სკოლის გასაფართოებლად, რომელშიაც მენობას ასწავლიან.

*** „ახ. მ."-ს ქუთაისიდგან ატყობინებენ, რომ იქ ამას წინად გაუქმებულ იქმნა „ქუთაისის მეაბრეშუმეთა და ფეიქართა ამხანაგობის" მოქმედება. როგორც ვუწყით, სამინისტრომ დაამტკიცა ამხანაგობის „კოლხიდის" წესდება, ასე რომ ამხანაგობა მომავალ წლიდგან დაიწყებს მოქმედებას. სასურველია, რომ ამხანაგობა თავისს წევრებად მიიზიდავდეს მეაბრეშუმე გლეხებს ქუთაისის ახლო-მახლო სოფლებიდგან, სადაც ეს-ესაა ფეხს იკიდებს წესიერი მეაბრეშუმეობა, ხოლო პარკი ვერსად გაუსაღებიათ და ჩალის ფასად ჰყიდიან.

*** იმავე გაზეთს ბალახანიდგან სწერენ, რომ 21 ოქტომბერს რილსკის მემკვიდრეთა ნავთის ადგილებში მომუშავე ლეკები თავს დასხმიან კოლმანოვის ნავთის ადგილებს, გაურეკიათ იქიდგან კოლმანოვის მუშები

და თვითონ დაუწყიათ მუშაობა. მათ გადაუჭრიათ ტელეფონის მავთულები, რათა ქალაქში ეს ამბავი არავის გაეგო. მეორე დღეს კალმანოვს მთავრობისათვის მიუმართნია თავის უფლებათა აღსადგენად. ეს ნავთის ადგილები, როგორც აღმოჩენილა, კოლმანოვს იჯარით ჰქონია რილსკისაგან აღებული, მაგრამ რადგან საიჯარო ქირა ვადაზედ არ შეუტანია, ამის გამო რილსკის მემკვიდრეთ ძალით მოუნდომებიათ თავიანთის ინტერესების დაცვა.

⁂ „ახ. მიმ."-ს შორაპნის მაზრიდგან სწერენ, რომ ამ მაზრაში მოსავალი უკვე მოუწევიათ. საზოგადოდ მთელ მაზრაში მოსავალი საშუალო ყოფილა, ხოლო ზოგანკი იმდენად უხეირო, რომ ძლივს თუ ორ თვეს ეყოფა გლეხის საშუალო ოჯახს. გვალვის გარდა მოსავალი შეუფერხებია სეტყვას, რომელსაც განსაკუთრებით ძლიერ დაუზიანებია სოფ. ხარაგაული, ბოსლევის ერთი ნაწილი, კაცხი, გუნდაეთი და ჯვარის-ეწერი; ამ ადგილებში წელს არ მოსულა არც სიმინდი, რომელიც იქ ერთად-ერთი პურის მცენარეა და არც ღვინო. ღვინის მოსავალი წელს მთელს მაზრაში ყველგან გაცილებით უფრო მცირე ყოფილა შარშანდელზედ. საჭიროა მცხოვრებთათვის დახმარებაო, იწერება კორესპონდენტი, მაგრამ არსაიდგანა სჩანსო. წრევანდელ ამინდებს ხელი არ შეუწყვია აგრეთვე არც მეფუტკრეობისათვის: ფუტკრები საკვების უქონლობის გამო თურმე იხოცებოდნენ. ზოგან იმავე მაზრაში წელს მეაბრეშუმეობისათვისაც მიუყვიათ ხელი, მაგრამ ამ საქმეშიაც ხეირი ვერ უნახავთ. აბრეშუმის თესლის გამყიდველები უვარგისს თესლს თურმე ჰყიდდნენ, ამის გამო მცხოვრებთ პარკის მოსავალი საშუალო მიუღიათ და ისიც ვერ გაუსაღებიათ: ჩარჩები 8 მანეთსაც არ იძლეოდნენ ფუთ ნედლ პარკში, მაშინ როდესაც სამტრედიის მახლობლად ამდენივე პარკი 14 მანეთად იყიდებოდა.

⁂ ტფილისის ოლქის სასამართლოს განსახილველად გარდაეცა საქმე სადგ. „ტფილისის" დეპოს კანტორის მწერლის კონსტ. კალანდარიშვილისა, რომელსაც ისა ჰბრალდება, რომ მან, მიიღო-რა 40 მანეთის უწყება კოკალევის სახელზედ, ყალბად დაამოწმა ეს უწყება, რომელზედაც დეპოს უფროსის მაგივრად მიმგზავნების ხელი მოაწერა და ბეჭედი დაასვა, და ასე მოტყუებით ფოსტიდგან ფული მიიღო.

⁂ „ტფ. ფ."-ს ატყობინებენ, რომ ტყიბულის ქვა-ნახშირის მწარმოებელს რუს-ბელგიელთა ამხანაგობას შეამდგომლობა აღუძრავს მიწად-მოქმედების სამინისტროს წინაშე იმის შესახებ, რომ შეხერხებულ იქმნას სახაზინო კალის აგრეჟა, რომელიც ასი ათას მანეთს აღემატება.

⁂ ქალაქის გამგეობამ წინადადება მისცა უფროს სავაჭრო სამეურნეო ზედამხედველს, კერძო სახლი მოსძებნეთ ქალაქის საჯარო ვაჭრობის დარბაზის გასამართავადაო. სახლის ქირად გადადებულია წელიწადში 1,500 მან.

---

## ე. ლ. მარკოვისა და საფრანგეთის მეცნიერ, ბარონ დე-ბაის პატივსაცემლად გამართული ნადიმი.

კვირას, 24 ოქტომბერს, ვერაზედ, „ფანტაზიის" ბაღში, ტფილისის ინტელიგენციამ, ქართველთა და რუსთ, ნადიმი გაუმართა რუსთა მწერალს ე. ლ. მარკოვსა და ფრანგ მოგზაურს, ცნობილს არქეოლოგსა და ეტნოგრაფს ბარონს დე-ბაის. ნადიმს აუარებელი ხალხი დაესწრო. შეკრებილი საზოგადოება სტუმრებს მუსიკით, დუდუკითა და საზანდრით მიეგება დარბაზში. ე. ლ. მარკოვს და ბარონ დე-ბაის მიართვეს ცოცხალი ყვავილების მომზადებული ჩანგები.

საღამოს 11 საათზედ სტუმრები და მასპინძლები სუფრას მოუსხდნენ. თამადად არჩეულ იქმნა ვ. ლ. ველიჩკო, რომელმაც, მადლობა გარდაუხადა რა საზოგადოებას ამ არჩევისათვის, შემდეგის ლექსით მიჰმართა ე. ლ. მარკოვს:

მადლი შენს მოსვლას ამ ქვეყანაში,
სად მხატვრისათვის განძი მრავალი
მომადლებული აქვს ღვთისგან ამ ერს!
მოვედ და ესე განძნი მოკრიბენ!

—

ბევრია წყლული განუკურნელი,
ბევრია სისხლში ცეცხლი მგზნებარე,
სიცხით გოლვილნი ველნი ელიან
ნამსა და წვიმას სიყვარულისას!

—

შენ გამოიცან ჩვენნი ზრახვანი,
გულით მიხვდი მათ დიდი ხანია,
შენ ცრემლნი შესვი მწარე ფიალით,
ღვინო სვი ჩვენის სიხარულისა.

—

წმიდა დიდება, სულთა-სწრაფვანი
და ოცნებანი, სხივ-მოცისკროვნე,
შეამკე შენა ზეგარდმო მადლით
უკვდავ სიტურფის სამკაულითა!

—

სანუგეშოა შენთან შეხვედრა
ამ ჩვენს მშობლიურს საქართველოში.
შენი აქ მოსვლა წარსულთა ტანჯვათ
სიოს ჰბერს ახლის გაზაფხულისას!

—

გაბრწყინვებული პოეტის აზრით
იგი შორსა ჰფენს კვალად და კვალად
ძმობას, სიმართლეს, ნათელს და მასთან
განუსაზღვრელსა ცხოველს სიყვარულს.

ამის პასუხად ე. ლ. მარკოვმა დაახლოვებით შემდეგი სთქვა:

ბატონებო! როგორც კაცი ლიტერატურისა, მე დიდად ვაფასებ ძლიერებას და ღირსებას ბეჭდურ სიტყვისას და როგორც კაცი, რომელიც ახლოდ ედგა ჩვენის ქვეყნების ცხოვრებას, საეროვნო და საზოგადო საქმეებს პროვინციებისას, განსაკუთრებულის თანაგრძნობით ვუყურებ ბეჭდურ სიტყვას. სამწუხაროდ, მნიშვნელობა ამა სიტყვისა ჯერ კიდევ ნაკლებ ესმით ჩვენში და ჩვენი ადგილობრივი მწერლობა დღეს აქამომდე სდგას, ვითარცა რაღაც უფლება მოკლებული უსაკო სულიერი. მაშინ, როდესაც პატიოსნური და გონებიანი ბეჭდური სიტყვა ისე სანატრელი არ არის არსად, ისე არსებითად საჭირო, როგორც პროვინციაში, საცა ბრძოლა ყოველ გვარ სიბნელესთან უფრო მწვავეა და უფრო ძნელი, ვიდრე განათლების და უფლების შუქ-მოფენილ შუა-გულში რუსეთისას.

ბეჭდური სიტყვა, ბატონებო, — ცოცხალი ხმაა, ყურმახვილი სინიდისია საზოგადოებისა და ადგილობრივი მწერლობა, რომელსაც საქმე აქვს ცხოვრებასთან პირდაპირ და არა ტახტის-ქალაქის სიშორიდამ, უნდა და შეუძლიან იყოს კიდეც განსაკუთრებულად სწორე და განსაკუთრებულად სინიდისიერ გადმომცემელად მთელის საზოგადოების ცხოვრების საჭიროებისა და სულიერ გუნებისა. სამწუხაროა მომავალი იმ ქვეყნისა, სადაც მწერლობას დავიწყებული აქვს ეს უწმინდაესი დანიშნულება და შექმნილა-რა ლონისძიებად პირადის ინტერესებისა და წვრილმან ცილებისა, არ იღწვის, რომ გამომეტყველ იყოს ადგილობრივთა მცხოვრებთა მოუსყიდებელ სინიდისისა და მართალის გულთა-თქმისა. თუმცა მე ნაკლებ ვიცი რა ხასიათისაა კავკასიის მწერლობა, მაგრამ ის კი მართალია, რომ იგი — რამდენადაც უწყებული მაქვს პატივცემულ ორგანოსაგან, რომელიც უფრო ახლოდ ცნობილია ჩემგან — წმიდად იცავს მწერლობის მაღალ აღთქმასა და პატიოსნურ სამსახურს უწევს რუსეთსა და აქაურს ქვეყანას. ვისურვოთ, ბატონებო, რომ შემდეგაც პატიოსნურ საქმეს საჯარო სიტყვისას მიეცემოდნენ გამორჩენის და ბნელ საქმეების კაცნი კი არა, არა ხმა-მაღლა ცრუდ მყვირალნი, არა ქუჩის ავთა გულთა-თქმათა წამაქეზებელნი, არამედ კაცნი პატიოსნებისა, სინათლისა და გონიერებისანი, რომელნიც თავისს მძიმე ღვაწლს და ძნელ შრომას უყურებენ როგორც უდიდესს და დიდად ნაყოფიერს მოვალეობას მამული-შვილობისას და საჯარო სიტყვის წმინდა მსახურებისას. ვსვამ სადღეგრძელოს აქაურ მწერლობის ყველა პატიოსან მოღვაწისას და მათ სათავეში მდგომ რედაქტორის „კავკასისას".

შემდეგ ვ. ლ. ველიჩკომ ლექსითვე მიჰმართა ფრანგულს ენაზედ ბარონ დე-ბაის. მოგვყავს აქვე შინაარსი ამ ლექსისა:

„ვეგებებით სახელოვან საფრანგეთის შვილს, რომელიც მეცნიერების სიყვარულმა მოიყვანა აქ, ჩვენთან, წმიდა ნინოს მშვენიერ ქვეყანაში, და ჩვენად გაჰხადა. შენი კეთილი გული გადასცემს შორეულ მეგობარ ფრანგებს დიდებასა, სიხარულსა, მწუხარებას და თვალ-წარმტაც მშვენიერებას ჩვენის ქვეყნისას. ხელოვნება, მეცნიერება და ისეთი გული, როგორიც თქვენია, მიხვდა მშვენიერებას რუსეთის თვალგადუწვდენელ ველისას, კრემლის ძველის კედლების და საქართველოს საღმრთო მთებისას. სალამი შენდა, ჩვენო მეგობარო, და გაუმარჯოს საფრანგეთს!"

ამ სიტყვებს საზოგადოება ტაშის ცემით მიეგება. ბარონ დე ბაიმ ფრანგულს ენაზედ შემდეგი საპასუხო სიტყვა წარმოსთქვა:

„სიტყვებს ვერ ვპოვებ იმ სიამოვნების გამოსათქმელად, რომელსაც მე ვგრძნობ ჩემის საყვარელ სამშობლოს მიმართ აქ გამოთქმულ გრძნობათა გამო. რუსეთში ხშირ მგზავრობის დროს დაახლოვებით შევიტყე და გავიგე, რა სიამოვნებით ეგებებიან ამ დიად ქვეყანაში ფრანგებს. ასეთივე გულ-უხვი და მომხიბვლელია ეს სტუმართ-მოყვარეობა საქართველოში.

„ეს კავკასია, დიადი და პოეტური ქვეყანა, რომლის ხილვის ბედნიერებასაც ეს მესამედ ვეღირსე, დაიპყრო რუსეთმა წარმოუთქმელის გმირობისა და ვაჟკაცობის შემდეგ. თვით მთიულნი ჰკვირობდნენ ამ გმირობასა და ვაჟკაცობას და დღესაც ბნელი ხეობანი, მიუდგომელი მთანი და მსწრაფლ-მსრბოლი მდინარენი იდუმალ აქებენ გმირთა სახელს. როდესაც ორთავა არწივი ჯერ ისევ ბუმბერაზ მთებს დასტრიალებდა და საქართველო, როგორც მოსიყვარულე და, ხელებს უწვდიდა გადასახვევად მეგობარ ხალხს, რათა მიუძღვნას მას საიმპერატორო გვირგვინის საუკეთესო მოსართავი, — საუნჯე წმინდა ოქროსაგან მომზადებული; ისეთი წმინდა, როგორც საქართველოს გულია, საუნჯეი შემკობილი ძვირფასის ლალებით, ისეთი წითელი, როგორიც მგზნებარე სისხლია ამ ქვეყნის დიდ-სულოვანთა შვილთა. გაერთიანება აღსრულდა. იგი გაერთიანება მტკიცდებოდა ოსმალეთთან ომის დროს, როდესაც ივერიის შვილნი არა ჰზოგავდნენ სისხლს, სიცოცხლეს, რათა უფრო განემტკიცებინათ ამ ერთ-მორწმუნე ერთა კავშირი.

„საუბედუროდ იმ გრძნობათა გამოსაცხადებლად, რომელსაც ვგრძნობ თქვენის დაუფასებელის ქვეყნის ხილვის დროს, საჭიროა ჩემთვის მიუწვდომელი მჭევრ მეტყველება.

„მადლობის ნიშნად თქვენ აქ, ტფილისში, საქართველოს ძველს სატახტო ქალაქში, პატივსა სცემთ ორს მოგზაურს: უცნობს მგზავრ-არქეოლოგს და შესანიშნავ მწერალს — ფრანგსა და რუსს. ორივეს უყვარს ეს კუთხე, სადაც მათ ასე გულახდით ეგებებიან. დღევანდელ ლიტერატურულ დღესასწაულში მე ვხედავ რუს-ფრანგთა კავშირს ძველს საქართველოს მიწა-წყალზედ. გულით ვსვამ სადღეგრძელოს უკვდავ და მშვენიერ საქართველოსას!"

დე-ბაის სიტყვას ტაშის ცემითა და ფრანგთა საერო ჰიმნით მიეგებნენ. სიტყვა წარმოსთქვა აგრეთვე ლ. ლ. მარკოვმა. შემდეგ ვ. ლ. ველიჩკომ თავ. ი. გ. ჭავჭავაძეს მიჰმართა და აღნიშნა უმთავრესი თვისებანი იმის მოღვაწეობისა. ეს თვისებანიაო, სთქვა მან, — განუზომელი სიყვარულია თავისის ერისა და მიწა-წყლის მიმართ და გულწრფელობაა, ეს უძვირფასესი საუნჯე ყოველის მწერლისა. ეს თვისებანი, თავის და თავად დაუფასებელნი, ამართლებს მწერლის შეცდომებსაც კი და აათკეცებს იმის სიმართლეს. ასეთ კაცთან ყოველთვის შეიძლება საუბარი, თუნდაც რომელისამე საგნის შესახებ სხვა შეხედულებისა და აზრისაც იყვნეთ, ვიდრე თვით იგი არის. შორიდგან მოსულ რუს-მოღვაწისთვის სასარგებლოა უსმინოს ხოლმე ასეთ კაცების ხმას მაშინაც კი, როდესაც შენთვის უსიამოვნო სიმართლეს გეუბნებიან და ნათქვამში საყვედური მოისმის. სიყვარული და გულ-წრფელობა ყველაფერზედ მაღლა სდგას, რადგანაც იგი საუკეთესო გზაა სიმართლისა, რომელსაც ამ მაღალ გრძნობათა მქონებელი კაცი კერძო ინტერესზედ მაღლა აყენებს. ასე გასინჯეთ, იგი მწერლისათვის განსაკუთრებულ გმირობას შეადგენს, იგი უპირატესია ავტორულ და პირად თავმოყვარეობაზედ. ორატორმა მაგალითი მოიყვანა. ერთხელ, როდესაც თავ. ჭავჭავაძეს ვიღამაც უსაყვედურაო, რომ ერთის საგნის შესახებ შენზედ წინ სხვამ ამოიღო ხმაო, იგი დაემოწმა და აღიარა იმ სხვა კაცის ღვაწლი ამ საქმეში, რადგანაც ჰგრძნობდა, რომ ასეთი გულწრფელობა კი არ ამცირებს, უფრო ამაღლებს საზოგადო მოღვაწეს, რომელიც სიმართლისა და სიკეთისათვის იბრძვის. დასასრულ ე. ლ. ველიჩკომ განაცხადა, სასურველია ერთად ვადღეგრძელოთ ორი ძვირფასი სტუმარი და იქაური მოღვაწეო. ამ სადღეგრძელოს ყველანი ტაშის ცემით მიეგებნენ.

შემდეგ საზოგადოებას მიჰმართა ე. ლ. მარკოვმა და სთქვა:

მე არ ვიცი როგორ გამოვთქვა ჩემი გულითადი მადლობა თქვენდამი, დიდად პატივცემულნო ბატონებო, რომელთაც ღირს მყავით და მიმიღეთ მე ერთი უბრალო რუსის მწერალი ასე გულტკბილად და პოეტურად. რა თქმა უნდა, ამას მე იმოდენად ჩემს თავს არ ვაწერ, რამოდენადაც თქვენს განათლებულს თანაგრძნობას ყოველ პატიოსნურ მწერლობის მოღვაწეობის მიმართ, რომელიც ასე საჭიროა დღეს ჩვენის საერთო მამულისათვის. მე პირველად არა ვარ კავკასიაში და არამც თუ სულით და გულით შემიყვარდა თქვენი მშვენიერი საქართველო, სავსე სამხრეთის მზითა და სამხრეთის გულითადობითა, არამედ გავიცანი რა მისი ღვაწლ-მოსილი ისტორია, გავიმსჭვალე ღრმა პატივის ცემითა მიმართ თქვენდა რაინდულ-ერისა, გმირულ ერისა, რომელმაც მრავალ საუკუნოების განმავლობაში მარტომ დაუყენა წინ თვისი მკერდი გაფთრებულს მახვილს მაშინ ყოვლად შემმუსრველს მუსულმანობისას და თავისის სისხლით დაიფარა აზიურ ბარბაროსობისაგან ქრისტიანული ცივილიზაცია ევროპისა იმ დრომდე, ვიდრე შეუერთდებოდა ძმობით თავისს მართლ-მადიდებელს ძმას-რუსსა და მასთან ერთად შეიქმნებოდა ყოველ-გვარ მტერთაგან მოუწდომელ და უშიშარ. ვსვამ, ბატონებო, საქართველოს სახელოვან შვილთა სადღეგრძელოს და მათ შორის სიმპატიურ პოეტის თ. ილია ჭავჭავაძისას.

შემდეგ წარმოთქმულ იქმნა სადღეგრძელოები ე. ლ. მარკოვის მეუღლისა და ქალისა, დანარჩენ დამსწრეთა და სხ. დალიეს სადღეგრძელო სამხედრო სამსახურში მყოფ ქართველ თავად-აზნაურთა ბრწყინვალე წარმომადგენლებისა თავ. ი. ს. ჭავჭავაძისა, თავ. ნ. ბ. ერისთვისა და სხ., ბ-ნის ვიცე-გუბერნატორის კ. კ. სტეფანოვიჩისა, ლ. ლ. მარკოვისა, ი. ი. ბელენკოვისა და სხ. 1-ლ გიმნაზიის დირექტორის ლ. ლ. მარკოვის სადღეგრძელოს შემდეგ ე. ლ. მარკოვმა წარმოსთქვა შემდეგი:

„ბატონებო, მე პირველად მოვედი ტფილისში ამ 30 ოდე წლის წინად და შემიძლიან განვაცხადო, როგორც საკუთარის თვალით მნახველმა, რომ ახლა სრულიად დაჰკარგეს მნიშვნელობა კავკასიის შესახებ პოეტის სიტყვებმა: „Все, что здѣсь доступно оку, спитъ покой любя!" და სიტყვები „сонный грузинъ, льющій на свои узорные шарвары пѣну сладкихъ винъ" და ეს სიტყვები სრულიადაც აღარ გვიხატავს დღევანდელ კავკასიის ყოფა-ცხოვრებას. არა, კავკასიას, ტფილისს სრულიადაც არა სძინავს. აქ თქვენში იმდენი გონებრივი და

ეროვნული ბიბლიოთეკა

საზოგადოებრივი მოძრაობაა, იმდენი გაბედული სამრეწველო საქმე ჩნდება, იმდენი განმანათლებელი დაწესებულება და განათლებული კაცები არიან, რომ ყოველივე ეს რუსეთის შუა ადგილსაც-კი შეენატრება, განსაკუთრებით წინ წაიწია კავკასიამ ყველაზედ უფრო საყურადღებო საქმეში, რომელსაც საერო სწავლა-განათლების საქმე ჰქვიან და რომელიც შეადგენს ყოველის წინ-მსვლელობის ძირითადს საფუძველს. ტფილისის ერთსა გიმნაზიას, რომელსაც მე ყველაზედ უფრო დაახლოვებით ვიცნობ, თავისის საპედაგოგიო მოწყობილებით და აღზრდის წესებით შეუძლიან ევროპის მოწინავე ქვეყნებშიაც პატივისცემა მოიპოვოს. ჩემ-მიერ ნახული გამოფენა სამხედრო მუზეუმში საუცხოვო საბუთია იმის დასამტკიცებლად, რომ კავკასიის საერო სკოლები, რომელთაც განათლებასთან ერთად ფრიად სასარგებლო პრაქტიკული ცოდნა მიუციათ ბავშვებისათვის, სამაგალითო სკოლებად უნდა შეიქმნას რუსეთის ყველა სკოლებისათვის. შემდეგისთვის ვისურვოთ კავკასიის განათლების ძლევა-მოსილი გაძლიერება!“

დასასრულ ტოლუმბაშმა აღდეგრძელა ახალგაზდა სამხედრო ისტორიკოსი ბ. ს. ესაძე, რომელიც თავისს ნაწერებში იმ აზრით ჰხელმძღვანელობს, რომ ისტორიულად შექნილი, ერთ-მორწმუნეობით ნაკურთხი და ძმურის სისხლით აღბეჭდილი ორივე ერი განუყრელია. ტოლუმბაშმა აღდეგრძელა აგრეთვე საუცხოვო სიმღერა-გალობა და მისი წარმომადგენელნი, თავ. ყარალაშვილნი. ბოლოს ვ. ლ. ველიჩკომ ტოლუმბაშობას თავი დაანება და სიტყვით მიჰმართა ე. ლ. მარკოვს, როგორც შესანიშნავს „სულიერად თავისუფალს“ კაცთმოყვარე მწერალს, რომელიც არასოდეს არ მისდევს დასდასობად წყობას, არასოდეს არ თვალთ-მაქცობს არც წინაშე საზოგადოებისა, არც თავისის თავისა და პატიოსნად ამბობს თავისს აზრს, თუნდა იგი ეწინააღმდეგებოდეს კიდეც წინანდელს მისს აზრს, რაკი ამ შეცვლას აზრისას კეთილ-სინიდისიერად და განგებულად მისი გული შესჯერებია. ეს ის სულიერი თავისუფლებაა, რომელიც შეადგენს ჭეშმარიტ სიდიადეს პუშკინისას, გოგოლისას, ალ. ტოლსტოისას და რუსეთის მწერლობის სხვა მნათობებისას, და ამათ გვერდით უდგას ე. ლ. მარკოვიც მისის ლიტერატურულ ზნეობრივის ღირსებით. ასეთი სიმაღლე მიუწდომელია იმ ცილის-წამებისათვის, რომელსაც ჰკადრულობენ მხოლოდ ეხლანდელნი საალებ-მიცემო მწერლობის საზიზღარნი წარმომადგენელნი. ე. ლ. მარკოვს სახელით ორატორმა შეაქო ის მაღალი სალიტერატურო დედა-აზრნი და ანდერძები, რომელთა წინაშე კრთება ყოველი დაძველებული ანუ აზრსუბუქი ეტიკეტები და საბანაკო დევიზები, და რომელნიც თავდებია ჩვენის ეროვნულის მწერლობის სიდიადისა.

ე. ლ. მარკოვმა ამის პასუხად სთქვა: ბატონებო, როგორც მსოფლიო მატანტალა, მე ვყოფილვარ ეგვიპტეშიაც, პალესტინაშიაც, საბერძნეთშიაც, ჩერნოგორიაშიაც და ნორვეგიაშიაც, მაგრამ არსად ეყ მინახავს ასეთი სიყვარული და მხიარული ჩვეულება სუფრად სხდომის დროს თავისის სახალხო სიმღერების გალობისა რომელიც მოსაწყენ კრებას მეგობრულ სასაუბროდ გადააქცევს ხოლმე. მე ვფიქრობ, რომ ასე შეუძლიან მღერა მხოლოდ ქართველის წმინდა და კეთილს გულს, რომელშიაც ბნელი არ არის-რა.

შემდეგ რამდენმამე იქ მყოფმა სიტყვა წარმოსთქვა. თავ. ი. გ. ჭავჭავაძემ სთქვა:

„ნება მიბოძეთ მეც სხვათა შორის სალამი მოგართვათ ჩემის მრავალ-ტანჯულის სამშობლოს მხარეში, რომელმაც, დასასრულ, თავისი მშვიდობიანობა მოიპოვა მფარველობის ქვეშე რუსეთის სულგრძელ ერისა, რომლის წინამძღოლთა შორის გონებითის და ზნეობითის განვითარების და წარმატების გზაზე ერთი უცილობელად თქვენცა ბრძანდებით. გთხოვთ გვწყალობდეთ და გიყვარდეთ ჩვენ, დავიწყებულნი მოქალაქენი რუსეთის ქვეყნისა, ჩვენის საერთო მამულისა. ვამბობ დავიწყებულნი იმიტომ-კი არა, რომ არავის ვახსოვართ, არამედ იმიტომ, რომ არავინა გვცნობს. იშვიათია, რომ რომელსამე რუსს ასჩენოდეს სურვილი და ხალისი იცოდინოს რამ ჩვენი, ჩაიხედოს ჩვენს გულში, გაიგოს ჩვენი გულთნადები და ჩვენის ჭეშმარიტის და არა მოგონილის ზრახვისა და სასოების კვალობაზე მოგვიწყოს, რაც გვეკუთვნის ყოველს საქმესა და დაწყობილებაში, რომელთაც სახელმწიფო მნიშვნელობა აქვთ ჩვენს ქვეყანაში. მე ამას ვამბობ არა ვისიმე საწყენად და საყვედურად, არამედ სურვილით, რომ დაიდგინოს ჩვენ შორის სულიერი კავშირი, რომელიც აღმოიშობება ხოლმე მარტო ურთიერთის გაცნობისაგან.

რა საჭიროა დამალვა: ჩვენ უცილობელად გვიყვარს ჩვენი სამშობლო, ხოლო არც საჭიროა სიყალბე: მარტო მით, რომ ჩვენ ჩვენი სამშობლო გვიყვარს, გვიყვარს რუსეთიცა. ეს ისეთი ბუნებრივია, ისეთი ცხადია, ისეთი ადვილად გასაგებია საგანთა არსების მიხედვითა. რუსეთმა დაიხსნა ჩვენი ქვეყანა წახდენისა და განადგურებისაგან, იგი დღესაც იფარავს მას ყოფილ წამებისა და ტანჯვის განმეორებისაგან, მან გაუკურნა ჩვენს სამშობლოს მისი წყლულნი. თვით სისხლ-მსმელი მხეცი, რომელიც ყოველ წუთს მზად არის გაჰგლიჯოს ასო-ასოდ ადამიანი, ისიც-კი ლბილდება და სიყვარულით და მადლობით შეჰყურებს კაცს, რომელიც უწმენდს და უხვევს წყლულსა, და რა საფიქრებელია, რომ გონიერი სულიერი, რომელსაც მომადლებული აქვს ღვთიური ნიჭი განიმსჭვალოს ზნეობურ აზრითა, გულში მალულად ინახავდეს თესლს მტრობისასა, ანუ თუნდ უგულოდ, გულ-გრილად ექცეოდეს მხსნელს და მფარველს მისდა წმიდათა-წმიდისას, რომელსაც სამშობლო ჰქვიან. ეს სიყვარული ჩვენი ჩვენის სამშობლოსი თავით თვისით წარმოადგენს იმ ნაყოფიერს ნიადაგს, რაზედაც იზდება და ჰხარობს ჩვენი ერთგულება და სიყვარული რუსეთისა. ეს ჩვენი სიყვარული ჩვენის სამშობლოსი იგი მაგარი და შუამდგომელი ჯაჭვია, რომელიც აერთიანებს ჩვენს ზრახვასა და სასოებას უკეთესს რუსთა ზრახვასა და სასოებასთან. სწორედ ამ ჩვენის სამშობლოს სიყვარულში უნდა მოიძებნოს ნასკვნი ნაწილთა დაახლოვებისა და გაერთებისა მთელთან საკეთილდღეოდ ყოველთა და ყოვლისათვის. წაართვით ადამიანს ეს სიყვარული სამშობლოსი და მის გულში ვეღარ იპოვით ამისთანა ღრმას და მაგარს ადგილს, რომ ზედ ამოიყვანოთ საფუძველი ერთგულებისა და სიყვარულისა.

სამწუხაროდ ჩვენდა, ესე არ ესმის ყველას კეთილ-მომქმედი მნიშვნელობა სამშობლოს სიყვარულისა. ამიტომაც მცირედი გამოცხადება ამ სიყვარულისა იმისთანა წყნარ და მშვიდობიან საქმეში, როგორიც ეტნოგრაფიული თვით-მყოფელობაა, ჰგონიათ რაღაც შეუნდობელ ცოდვად. და ესე ყოველი წარმოსდგება იქიდამ, რომ ჩვენ არ გვიცნობენ. ჩვენ გვიყურებენ და არა გვხედავენ, გვისმენენ და არა ესმით ჩვენი. ამაშია მთელი ჩვენი უბედობა, ამაშია დასაბამი ყოველის ჴო-არაობისა ჩვენს ქვეყანაში.

საბედნიეროდ რუსეთისა და მისს მფარველობის ქვეშ მყოფ სხვა და სხვა ერთა, მარტო ამისთანა კაცებზე არ არის შემდგარი საქმე. არიან რუსეთში იმისთანა კაცნიც, რომელთაც ნამდვილად გაუგიათ ჭეშმარიტი დანიშნულება რუსის მოღვაწეობისა რუსეთის განაპირა ქვეყნებში. ნება მომეცით, ევგენი ლეონისძევ, განსაკუთრებულ სიამოვნებით ამისთანა კაცთა შორის დაგასახელოთ თქვენც თქვენს წერილში კავკასიის გამო თქვენს განათლებულს გულთახედვას არ გამოჰპარვია საჭიროება ამ დიად დანიშნულებას რუსისას განაპირა ქვეყნებში თქვენი მსჯავრი დასდოთ. თქვენ, თქვენდა კუთვნილ დამოუკიდებელ რწმუნისამებრ, წარმოსთქვით დიდებული აზრი მოკლედ, მაგრამ ზედ-მიწევნით, რომ უნდა ვეცადნეთო სიმტკიცე და ძალ-ღონე სახელმწიფოსი დამყარებულ იქმნას ერთსახეობაზე კი არა, ერთსულობაზეო. ეს აზრი მიდგა მე გონების თვალწინ მთელის თავისის შეურყეველის ჭეშმარიტების დიდებითა და ამიტომაც ძლევა მოსილობა მისი უეჭველია დღესა თუ ხვალე. მე ვსვამ, ბატონებო, სადღეგრძელოს ამ ნაყოფიერ აზრის მალე განხორციელებისას და მის მახარობელის და მოციქულის ევგენი ლეონისძის მარკოვისას.

ამ გვარივე აზრი გამოსთქვეს ბ-ნთ ცხვედაძემ და ყარანგოზიშვილმა, ნ. ა. მარქსმა წარმოსთქვა მშვენიერი სიტყვა ჩვენის ქვეყნისთვის რუსულ მწერლობის მოვალეობის შესახებ, ხოლო მკურნალი ვოინო შინაარსიანის სიტყვებით მიესალმა ე. ლ. მარკოვს. მ. ვ. მაჩაბელმა მოკლედ აღნიშნა, თუ რა საიმედო საფუძველს წარმოადგენს ერთის ხალხის მეორესთან დაახლოება და ღირსეულად მოიხსენია-რა „სულიერი მფარველნი კავკასიისა“, რუსეთის ბრწყინვალე შემოქმედებითის ნიჭით აღჭურვილნი, იმათ რიცხვს დაუკავშირა დღესასწაულის გამართვის მიზეზის მწერალიც.

შემდეგ ბარონმა დე-ბაიმ პოეტურის სიტყვით მიჰმართა თავ. ჭავჭავაძეს,

„მთელი საქართველო მშვენიერს წალკოტს წარმოადგენს; ხოლო კახეთი საქართველოს წალკოტია. იქაური ბუნება უხვი და დიდებულია. ვაზი დახვეულია ხეებზედ და მათს ტოტებს ამძიმებს მისი ქარვისა და ვარდის ფერი მტევნები. ბროწეულის ხეები დამშვენებულია წითელის ყვავილებით ანუ ნაყოფით. ეს განგებისაგან არჩეული ქვეყანა, რომელიც მდებარეობს ალაზნის [illegible] თოვლით შემოსილ [illegible] წინ, მუდამ დაშვენებულია და შემკული.

„ყვავილები აჰრელებს ამ მხარეს და აქ ერთხელ აღმოცენდა ყვავილი, თავისს თანამოძმეებზედ უმშვენიერესი, მზემ მიაფინა მას თავისის სხივების ოქროს მსგავსი შუქი. გულკეთილი ფერია, გაბრწყინვებული მთვარის შუქით, გამოეცხადა და ამბორებით ჩაჰბერა ყვავილს დაუსრულებელი სიცოცხლე—პოეზიის გენია. ამის შემდეგ საქართველოს თავი მოსწონს თავისის საუკეთესო პოეტით.“

ნადიმი დამთავრდა ლეკურით, რასაც სიამოვნებით უყურებდნენ სტუმრები. გამოთხოვების დროს ე. ლ. მარკოვმა დაახლოვებით შემდეგი სიტყვა წარმოსთქვა:

ნება მიბოძეთ ბ-ნებო ერთხელ კიდევ მოგახსენოთ გულითადი უმდაბლესი მადლობა ჩემი და ჩემის ცოლისა და მთელის ჩემის სახლობის მაგიერად თქვენის გულკეთილობისა და ალერსისათვის სტუმრად მოსულ თქვენის თანამოძმე რუსის მიმართ. ეს დღესასწაული ჩემს გულში კიდევ უფრო აძლიერებს თქვენის მშვენიერის ქვეყნისა და თქვენის მიმზიდველი ერის მიმართ სიყვარულს.

თითქმის მეოთხე საათი იყო, რომ სტუმრები დაიშალნენ. პატივცემული ბარონი დე ბაი ცოტა ადრე წავიდა შეუძლოდ ყოფნის გამო და ამიტომ ზოგს უნდოდა სიტყვა ეთქვა მისთვის, მაგრამ ვეღარ მოასწრეს. ნადიმზედ დიასახლისებად იყვნენ კნეინა მ. ზ. ერისთავი, ვიცე-გუბერნატორის მეუღლე მ. ვ. სტეფანოვიჩი, ქ-ნნი ე. გ. მესხი და მ. გ. მურეტოვი. ნადიმის გამგეებად ამორჩეულნი იყვნენ ი. გ. მელიქიშვილი და ა. მ. ახნაზაროვი. ნადიმს დაესწრნენ, სხვათა შორის, ტფილისის ვიცე-გუბერნატორი კ. კ. სტეფანოვიჩი, პირველ კლასიკურ გიმნაზიის დირექტორი ლ. ლ. მარკოვი, დ. ს. ს. ი. ი. ბელენკოვი, გენერალ-მაიორი თავ. ი. ს. ჭავჭავაძე, გენერალნი თავ. ნ. ბ. ერისთავი და მამაცაშვილი, ბ-ნნი კლენოვსკი, დ. ზ. სარაჯიშვილი, ნ. ზ. ცხვედაძე და მრავალნი სხვანი.

## ქართული სცენა ქუთაისში

17 ოქტომბერს მე-4 წარმოდგენა გაიმართა ამ სეზონში. წარმოდგენილი იყო ყაზბეგის „კონსტანტინე ბატონიშვილი“. უეჭველია, ეს „სამშობლოს“ შემდეგ უკეთეს პიესად უნდა ჩაითვალოს ქართულ ისტორიულ პიესებში უფრო თავის მეტად საინტერესო შინაარსით. მშვენიერად ამოქმედებს მაყურებლებზედ ქეთევანის მტკიცე ხასიათის ერთიანობის დაცვა ბოლომდის და კონსტანტინეს განკურნება და განახლება. პიესის ნაკლულევანებაა შინაარსის რიგიანად განუვითარებლობა საზოგადოდ, ნამეტნავად პირველი მოქმედება ცუდად არის აგებული, ზომიერების დაუცველობა მომქმედთა მონოლოგებში, მათ მიერ სამშობლოს სიყვარულის გამოხატვაში—ასეთი რიხიანი ფრაზები, როგორც „მე ქართველი ვარ, და მოღალატე არ ვიქნები“, ან „ჩემ ძარღვებში ქართველის სისხლი სდუღს, და მე ამაყი ვარ“...

წარმოდგენამ საზოგადოდ კარგად ჩაიარა. მოთამაშეებში უნდა აღვნიშნოთ ნ. ჩხეიძე ქეთევანის როლში, რომელიც სწორედ ხელოვნურად ჩაატარა. მან ცხადად წარმოგვიდგინა სათნოებით სავსე, მაღალ ზნეობრივი ღვთისა და ერის სიყვარულით აღსავსე, წყნარი და მშვიდი და მასთან შეურყეველის, რკინის ხასიათის დედოფალი, რომელმაც საზოგადო საქსისათვის თავის განწირვით და მრავალ ტანჯვით ღირსეულად დაიმსახურა წმინდის სახელი. კონსტანტინეს კ. ყიფიანი კარგად თამაშობდა, მაგრამ ეგ როლი არ უნდა იყოს მაინც მისი,—აქ არაფრად გამოუჩენია თავისი ნიჭის ძალა. შაჰ-აბასის როლში ბ-ნი ჯანოევი არ ვარგოდა. არ ვარგოდნენ დიდებულნი; სცენაზე ხალხი ვერ იყო კარგად მომზადებული, ბრძოლის ველიც ვერ იყო სასურველად მომართული. საზოგადოება ქვემოდ ცოტა იყო, ზევით (მოსწავლეთა ადგილები და ქანდარა) კი ძლიერ ბევრი.

გუშინ ისტორიული პიესა იყო, ხუთშაბათს კიდევ ისტორიულ პიესას არდგენს დასი. ასე რეპერტუარის შედგენა არ არის კარგი. პიესების ამორჩევაში ყოველთვის წინ დახატული უნდა ჰქონდეს ჩვენ დასს კარგად გამორკვეული მიზანი.

კლასიკური პიესები, ევროპის თანამედროვე ცხოვრების გამომხატველი პიესები და ქართული დედანი პიესები—აი, ამათ შორის უნდა არჩევდეს დასი წარმოსადგენს, უნდა იღებდეს მასალას დაკვირვებით და ურთიერთ შორის ზომიერების დაცვით.

ისეთის პიესების წარმოდგენა, როგორიც არის შექსპირის ჰამლეტი, მაკბეტი, ლირი, რიჩარდ მესამე, ოტელლო, იულიოს კეისარი, მოლიერის—კრიჟანგი, ტარტიუფი, მიზანტროპი, შილლერის—სიყვარული და ვერაგობა, ფიესკოს შეთქმულობა, ორლეანელი ქალწული, ვილჰელმ ტელი, დონ-კარლოსი, ყაჩაღები, ბომარშეს—სევილიელი დალაქი და ფიგაროს ქორწინება, შერიდანის—ჭორიკანობის სკოლა, ჰიუგოს—ერნანი, რუი ბლაზი, მარიონ დელორმი, გეტეს—ეგმონტი, ბერძენთა ესხილის, ევრიპიდის და სოფოკლის, საფრანგეთის კორნელის და რასინის, ისპანიის ლოპე-დე-ვეგას და კალდერონის ზოგიერთი პიესები, რომელთაც დღესაც დიდის სიამოვნებით მოისმენს საზოგადოება,—ყოველ წლივ აუცილებელ მოვალეობათ უნდა გაიხადოს დასმა. ესენი მიაჩვევს საზოგადოებას სერიოზულ წარმოდგენებს, ესტეტიურ სიამოვნებასთან ერთად ხშირად ჩაახედებს ძველის დროში, ხელს შეუწყობს კარგის, დედან პიესების წარმოშობას ახალ თაობის აღზრდით.

თანამედროვე ევროპის ცხოვრების გამომხატველ პიესებს მით მეტი ფასი აქვს ჩვენთვის, რომ ჩვენი საზოგადოება ნაკლებად ჰკითხულობს, ნაკლებად ადევნებს თვალ ყურს და იცნობს ევროპის ცხოვრებას წიგნების და ჟურნალ გაზეთების შემწეობით. ამისთვის ასეთის პიესების ნახვა ცოტად მაინც შეავსებდა ამ და-

ნაკლისს. რასაკვირველია, დასმა უნდა გაგვაცნოს ყველა ერთა თანამედროვე ავტორების შესამჩნევი პიესები. მაგრამ ამ მხრივ საყურადღებოა უფრო სკანდინაველთა მწერლობა. თანამედროვე ცხოვრების სხვა და სხვა მიმართულება არსად არ შეისწავლება ესე სავსებით, როგორც ამ მწერლობაში. ეს მწერლობაა ახალგაზრდა, მგრძობიერის ერებისა, რომელნიც მთელის თავის არსებით სცხოვრობენ. არ დარჩენილა არც ერთი საზოგადო საგანი, რომ სკანდინავიის მწერლობის კალმის წვერს ასცდენოდეს, და მათ შორის განსაკუთრებით იბსენისას— იხილეთ მისი ნორაში (თანამედროვე ცოლ-ქმრობის ცრუ ნიადაგი), საზოგადოების ბურჯები (სიმართლე და გულ ახდილობა უნდა იყოს ბურჯები), მოჩვენება (შთამომავლობაზედ მემკვიდრეობის გავლენის შესახებ), ახალგაზდობის კავშირი (ლიბერალების სიტყვიანობა), საზოგადოების მტერი (ყოველთვის მართალია უმეტესობა?) და სხვა და სხვა. სხვათა მწერლობაში მეტად საყურადღებონი არიან ჰაუპტმანი და ზუდერმანი.

რაც შეეხება ორგინალს, ნამეტურ თანამედროვე ცხოვრებიდგან აღებულ პიესებს, ჩვენი დასი მცირედს ყურადღებას აქცევს. თუ თამაშობს, მხოლოდ ისტორიულ პიესებს. ეს არ არის კარგი. აუცილებელი საჭიროა პიესები თანამედროვე შინაარსისა იყოს. ჩვენ გვესაჭიროება სცენაზე ჩვენის თავის, თანამედროვე პიესების გამოყვანა, დახატვა ჩვენის ინტერესების, ჩვენის დღევანდელის ავ-კარგისა: ამ მხრივ ტფილისის დასი შესამჩნევად განსხვავდება ჩვენის დასისგან. პირველი ყოველ წელიწადს ბევრსა სდგამს ორიგინალ თუ გადმოკეთებულ პიესებს და თითოროლა ახალს მაინც, უკანასკნელი კი უფრო თარგმანებს ეტანება.

ამგვარ პიესების უყურადღებობას ცუდი შედეგი ექნება როგორც საზოგადოებისა, ისე მწერლობისათვის. რაც უნდა წუნი დავდოთ ქართულ დრამატიულ მწერლობას, იქ მაინც მოიპოვება ისეთი პიესები, რომლების დადგმა შეიძლებოდა. გარდა ძველებისა ერისთავისა, ანტონოვისა, ცაგარელისა, აკაკის პიესებისა, არის ახალი პიესები უმიკაშვილისა, გულისაშვილისა, ბენაშვილისა, ქ. აზიანისა და სხვა და სასურველია ჩვენი დასი გვაჩვენებდეს ამ პიესებს.

S—son.

# უცხოეთი

**ინგლის-ტრანსვაალის ომი.** ინგლისელები ავრცელებენ ხმას, რომ ბურები ბარბაროსულად ეპყრობიან დაჭრილებს და ტყვედ წაყვანილებსო. ეს ხმება ტყუილი უნდა იყოს, რასაც აშკარად ამტკიცებს ის, თუ როგორ მოექცევიან ბურები დაჭრილს გენერალს სეიმონსს, რომელიც მისმა ხელქვეითებმა ღვთის ანაბარად მიატოვეს, და მტერს ჩაუვარდა ხელში. გენერალი ჟუბერი აი რასა სწერს ამის შესახებ ინგლისის გენერალს უაიტს:

„სეიმონსი, სამწუხაროდ, გარდაცვალა მამე შერალობისაგან. გუშინ დავასაფლავეთ ის, იმედი მაქვს, რომ დიდებული ღმერთი ჩქარა მოუღებს ბოლოს ამ უბედურს მდგომარეობას, რომელიც გამოიწვიეს უსინდისო მოანგარეებმა და კაპიტალისტებმა, რომელნიც ტრანსვაალში მოვიდნენ, რათა მაითვისონ სიმდიდრე და სამარცხვინოდ ამი ასტეხეს მთელს სამხრეთ აფრიკაში პირადის სარგებლობისათვის, რასაც მსხვერპლად შეეწირა ამდენი მეირფასი კაცის სისხლი და კიდევ ბევრი შეეწირება. გთხოვთ გარდასცეთ ქალბატონს სეიმონსს ჩვენი გულითადი სამძიმარი მისი მამაცი მეუღლის მოულოდნელად დაკარგვის გამო, რომელიც ჩვენ გუშინ დავასაფლავეთ უოკელგვარ პატივისცემით. შეიძლება, ორთავე მხარეს ბევრს ჩვენგანს ადრე ეგევე ბედი გვხვდეს წილად. ის მამაცი კაცი იყო და ჩვენ გსტირით იმის გარდაცვალებასო“.

— ტრანსვაალელი სტუდენტები, რომელნიც ამსტერდამში (ჰოლანდიაში) სწავლობდნენ, ამ დღეებში სამხრეთ აფრიკაში წავიდნენ ინგლისის წინაღმდეგ ბრძოლაში მონაწილეობის მისაღებად.

ამ დღეებში ჰოლანდიაში გაიგის ქუჩებზე გამვლელ-გამომვლელთა შორის ხელის-მოწერა გამართეს წითელ ჯვრის კომიტეტის სასარგებლოდ და 11,000 ფლორინი (ფლორინი უდრის დაახლოებით 53 კაპეიკს) შეჰკრიბეს. ამნაირადვე პრენჰეიმში მოაგროვეს 7,000 ფლორინი. სუმატრის კუნძულზედ მცხოვრებმა ჰოლანდიელებმა გამოჰგზავნეს 4,000 ფლორინი. წითელი ჯვრის უმთავრესმა კომიტეტმა მიიღო 48,000 ფლორინის ჩეკი ჰოლანდიის სანიტარულ რაზმის სახარჯოდ, რომელიც ამ დღეებში აპირებს წასვლას ამსტერდამიდგან სამხრეთ აფრიკაში. ჰოლანდიის გაზეთები მუდამ დღე ეკითხებიან მთავრობას, ბურების სასარგებლოდ გააკეთე რამე, თუ არაო, და სახელდობრ რა გააკეთეო.

ინგლისელებისადმი მძულვარება თანდათან მატულობს ჰოლანდიაში. ამას წინად ერთი სასაცილო ამბავი მოხდა ამსტერდამში: სადალაქოში ორი ინგლისელი შევიდა წვერის მოსაპარსად. ერთი მათგანი სარკესთან დაჯდა და დალაქის მოჯამაგირემ პირზედ საპონი წაუსვა მას და პარსვას შეუდგა. ამ დროს სადალაქოს პატრონი შევიდა და, შეხედა-რა, რომ მუშტარი ინგლისელი იყო, მოჯამაგირეს უბრძანა,—თავი დაანებე პარსვასაო. დარცხვენილი ინგლისელი იძულებული შეიქნა გარედ გასულიყო საპნით გათხუპნული და საანახევროდ გაპარსული.

— როგორც იუწყებიან, ბურებს გაუფუჭებიათ ლედი სმიტის წყლის უმთავრესი მილები და მთელი ქალაქი დიდს გაჭირვებაში ჩავარდნილა. ინგლისელები იძულებული არიან მდ. კლიპიდგან ზიდონ წყალი. ქალაქში ექვსი ახალი ჭა ამოუთხრიათ, რომ როგორმე იოლად წავიდეს ხალხი. ამას გარდა ბურებს ათასი ვირი მოუტაცნიათ ინგლისელებისათვის, რაიცა დიდ დანაკლისად უნდა ჩაითვალოს, რადგან, სადაც რკინის გზა არ უდგება, მომეტებულ ნაწილად ვირებით გადააქვთ ტვირთი.

# დამკვირდი

თუ საქმეს ღრმად ჩაუკვირდებით, მიხვდებით, რომ ყოველის უბედურების მიზეზი ჩვენშივეა.

ტურგენევი

* * *

სიტყვა „მეგობარი“ მკირფასია და ამიტომაც სიფრთხილით უნდა გხმარებდეთ.

ბ. ღ—შვილი

* * *

მასწავლებელი უნდა იყოს მტკიცე ზნეობისა, რომ მისი მოწაფეც მას მიემსგავსოს.

ლასურიძე

# ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ამას წინად შვეიცარიის მთავრობამ გამოაქვეყნა სტატისტიკური ცნობები ამ სახელმწიფოს უნივერსიტეტებში მოსწავლე ქალების რაოდენობის შესახებ. როგორც ამ ცნობებიდგანა სჩანს, სულ შვეიცარიის უნივერსიტეტებსა და აკადემიაში სწავლობს 937 ქალი, ამათში 555 ნამდვილი სტუდენტია, ხოლო 382 ყურის-მგდებელი. ყველაზედ ბევრნი ჟენევის უნივერსიტეტში სწავლობენ, სახელდობრ 292; ჟენევას მოსდევს: ციურიხი—231, ბერნი—172, ლოზანნა—130, ნევშატელი—52, ბაზელი—35, ფრეიბურგი—25. თითქმის ნახევარი ამ სტუდენტებისა უცხო სახელმწიფოებიდგან არიან: რუსეთიდგან 353 ქალია, გერმანიიდგან—53, ბოლგარიიდგან—25, ავსტრიიდგან—9, უნგრეთიდგან—9, სერბიიდგან—7, რუმინიიდგან—4, ჰოლანდიიდგან—3, ინგლისიდგან—3, იტალიიდგან—1, ნორვეგიიდგან—1, აზიიდგან—17, ჩრდილოეთ ამერიკიდგან—7 და აფრიკიდგან—1. უმრავლესობა ქალებისა ფილოსოფიასა და მკურნალობას სწავლობს.

* * *

იტალიის ქალაქ ნეაპოლში ამ ახლო მომავალში სასამართლო შეუდგება მეტად საყურადღებო საქმის განხილვას. ბრალი ედებათ ისეთ კაცებს, რომელნიც დღემდის მთელ ქალაქში პატიოსან კაცებად იყვნენ ცნობილნი, სახელდობრ: ვექილს სუზიოს, ბანკირს ფელიქს გერმანს, ვექილს ტარასკის, ვექილს ბარონ დე-ბარტოლომეის, გრაფს მერენდას, თავადს პრეზიჩეს, ინჟენერს დარიანნის და მრავალ სხვათ. ამ ვაჟბატონებმა დააარსეს ერთგვარი საზოგადოება, რომელიც სავაჭრო საზოგადოებად ითვლებოდა, ნამდვილად-კი ამ საზოგადოების დამაარსებელნი გულ-უბრყვილო და გამოუცდელ ხალხს სძარცვავდნენ და ატყუებდნენ. ზოგმა ბრალდებულმა უკვე მოასწრო გაქცევა და სხვა სახელმწიფოში დამალვა.

იმავე ქალაქში უნდა გაირჩეს მეორე საყურადღებო საქმეც, რომლის უმთავრეს მომქმედ პირადაც ცნობილის სახელმწიფო მოღვაწის კრისპის ახალგაზდა შვილია. ამ კრისპის ჰბრალდება გრაფინია ცელლერის ბრილიანტების მოპარვა. ხელობით კრისპი ვექილია. ქურდობის შემდეგ ახალგაზდა კრისპი სამხრეთ ამერიკაში გადაიკარგა და იქ დაიმალა. კრისპის თავათვე ცუდის და ზნეობით გაფუჭებულის კაცის სახელი ჰქონდა გავარდნილი იტალიაში, მაგრამ იმას-კი არავინ მოიფიქრებდა, რომ ასეთ აშკარა ქურდობასაც ჩაიდენდა. კრისპის არც გრაფინია ცელლერი ჩამოუვარდება. კარგა ხანია, ამ გრაფინიას აღარც ერთს პატიოსანს ოჯახში აღარ უშვებენ.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

25 ოქტომბერი

**ლონდონი.** პიტერმარიცბურგიდგან დეპეშით იუწყებიან 22 ოქტომბერს: აქაურ აფრიკანდიორებს ამბავი მოუვიდათ, რომ 21 ოქტომბერს ლედი-სმიტსა და კოლენზოს შუა სისხლის ღვრა მოხდა და მრავალი ბური დაიხოცა, იმათ რიცხვში აქაური აფრიკანდიორების ბევრი ნათესავიო.

**ტული** (როდეზიაში). 15 ოქტომბერს პორტრიფთან ინგლისელების მზვერავებმა ტყვედ წაიყვანეს ხუთი ბური. ჰფიქრობენ, რომ ბურების უმთავრესმა ძალამ რამდენიმე ადგილას პატარ-პატარა რაზმები დასტოვა და სამხრეთისაკენ დაიწიაო. 17 ოქტომბერს პორტრიფტთან ფიცხელი სროლა ასტყდა მზვერავ ჯართა შორის. ერთი ინგლისელი მოკვდა, ოთხი დაიჭრა.

**დურბანი.** „რეიტერის სააგენტო.“ ახალის პოლკის შესადგენათ მსურველთ იწვევენ, რომელთაც უფროსობას გაუწევენ მუდმივი ჯარის აფიცრები.

ოფიციალურის ცნობებით, პოლკოვნიკ კარლსტოკის კოლონამ დაჰკარგა უგზო უკვლოდ 843 კაცი, 52 კაცი მოკლულია, 150 დაჭრილი.

**კაპშტადტი.** 22 ოქტომბერი. მეფკინგიდგან მოსულ ცნობებით, ბურებმა მოიტანეს პრეტორიიდგან და მეფკინგიდგან შვიდი მილის მანძილზე და დასდგეს დიდი ზარბაზანი. აქამდისინ 16-ჯერ ისროლეს; მხოლოდ ერთი ყუმბარა ჩამოვარდა ქალაქში და დუქანს ცეცხლი გაუჩინა, რომელიც დაიწვა. მეციხოვნე ჯარი სრულს კმაყოფილებას ჰგრძნობს.

**კოლენზო.** „რეიტერის სააგენტო.“ 22 ოქტომბერს ცხენოსანმა პოლიციამ ქალაქი დასტოვა ð ნეუპორტში წავიდა.

ორანჟ რივერიდგან დეპეშა იუწყება, რომ ოთხშაბათს, სალამოს, კიმბერლეიში მშვიდობიანობა იყო. თავს დასხმას ქალაქი ყოველ დღე მოელოდაო.

**ისკორტი.** 22 ოქტომბერი, „რეიტერის სააგენტო“. ბურები ისევ ზარბაზნებს უშენენ ლედისმიტს, მაგრამ ბევრი ვერა დააკლეს-რა.

**ლონდონი.** ჟუბერმა გაჰგზავნა ტყვეთ წაყვანილი აფიცერი და 9 დაჭრილი ჯარის კაცი და სამაგიეროდ 8 ბური დაიბრუნა. გენერალი ბროლგერტი მტერს თავს დაესხა მინდვრის არტილერიით და ცხენოსანი ჯარით ლედი-სმიტიდგან სამხრეთ-დასავლეთის მხარეს. ბრძოლამ რამდენიმე საათს გასტანა. ინგლისელების მხრით დანაკლისი მცირედია. ზარბაზნის სროლა გუშინაც იყო. დღეს ბევრი ყუმბარა ვარდებოდა ქალაქში.

**კოლენზო.** 21 ოქტომბერი, „რეიტერის სააგენტო“. დღეს ბურები იერიშით წამოვიდნენ. ისინი ლედი-სმიტის მახლობელ ადგილიდგან მოვიდნენ, დასდგეს პატარეია და ჩქარა თოფ ზარბაზნების სროლა დაიწყეს, როგორც ლედი-სმიტისაკენ, ისე კოლენზოსაკენ. ბურებს დიდი ზარბაზნები აქვთ, და რადგან ძლიერ შორს ისვრის, ყველა ყუმბარა ქალაქს ხვდება. დილით ფოსტისა და სხვა მატარებელი მოვიდა ლედი-სმიტიდგან. მატარებლებს ბურები ზარბაზნებს ესროდნენ, მაგრამ ვერა დააკლესრა. კონდუქტორები იუწყებიან, რომ ბურებს არა თუ მაუზერის თოფები აქვთ, არამედ ნორდენფელდის მსწრაფლ-მსროლელი ზარბაზნებიცო.

**ლონდონი.** Dailu Telegraph“ იუწყება, რომ ოთხშაბათს ლედი-სმიტიდგან მატარებელი გამოვიდა გამოქცეული ხალხით, რადგან მებრძოლმა მხარეებმა ერთმანეთს პირობა მისცეს შევაჩეროთ ბრძოლა სალამოს 11 საათამდისინო.

26 ოქტომბერი.

**ბრიუსელი.** „ვოლფის სააგენტო“. ლედი-სმიტიდგან მოსული ცნობებით, იქ არა სჯერათ გავრცელებული ხმა, რომ ინგლისის ჯარმა გაიმარჯვა ოთხშაბათს ლედი-სმიტის ქვემოთ ბრძოლის დროსო. პირიქით, ამბობენ, რომ რადგან ლედი-სმიტსა და კოლენზოს ზარბაზნებს ესროდნენო, ინგლისის ბატარეიები, რომლებიც დაყენებული იყო მდინარე ტუგელის ხიდის დასაცველად, იძულებული გახდა სიჩქარით უკან დაეხია, რადგან ბურებმა დაიჭირეს ისეთი ადგილი, რომელიც გადმოჰყურებს ლედი-სმიტიდგან წასასვლელს გზასო. გაქცეული ჯარი სამხრეთის გზით უნდა წასულიყო, რომელიც აგრეთვე ბურებს შეეკრათო. ნატალში ეჭვი არავის აქვს, რომ ჯარს გზას შეკრული ჰქონდა და ბურებს ჩაუვარდა ხელში, რადგან დურბანშიაც არა გაუგიათ-რა იმის შესახებო. აგრეთვე ხმა გავრცელდა, რომ საომარი მასალა და სურსათი თითქმის სრულებით შემოაკლდა ჯარს ლედი-სმიტშიო და შეუძლებელია ამის შემდეგ ჯარის საზრდოობაო.


განცხადებანი

კბილის ექიმი
ს. გ. სოლოლაშვილი

მიიღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9-დგან 2-მდე და ნაშუადღევის 5-დგან 7-მდე.

მიხეილის ქუჩა № 32. (10—უ.—10)

პეტერბ. სამკურნალო გამგეობის ნება-რთვით. დიდი კოლოფი ღირს 5 მან., პატარა კოლ. —3 მან. და 1 მ. 50 კაპ.




ახალი საშუალება

თმის გასაზრდელად და გასამაგრებლად, რომელიც აგრეთვე ქერტლსაც აქრობს. შემდეგ, გამოვიდა კიდევ ახალი საშუალება

„კვერცხის რძე“

სახის გასანაზებლად და გასათეთრებლად. „კვერცხის რძე“ არჩენს მზისაგან დამწვარ კანს, სპობს მუწუკებს, არბილებს კანს. **ფასი ყველასათვის ხელ-მისაწვდენია:** დიდი ქილა —2 მან., პატარა—1 მან. 50 კაპ. იყიდება ყველა საპარფიუმერო და სააფთექო მაღაზიაში. მთავარი საწყობი არის პეტერბურგში, პუშკინის ქუჩაზედ № 15, სადგ. 12. საწყობს განყოფილებანი აქვს ტფილისში— ერევნის მოედ. სააფთექო საქონლის სავაჭრო ამხანაგობაში და ბაქოში, იყიდება აგრეთვე ხიდზედ პოპოვისა და არისტაკოვის სააფთექო მაღაზიაში.

ქალაქ გარეთ მცხოვრებთ დაუყოვნებლივ ფოსტით გაეგზავნებათ. (100—150—27)


Дозволено цензурою, Тифлисъ 26 Октября 1899 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე